

ლიტერატურული კატეგორი

№93 1 - 14 მარტი 2013

გამოდის ორ პვილაში ერთხელ, აარასპერბიტ

ფასი 50 თეთრი

ბექა ქურსული

II-III

ჯარჯი ფხოველი

IV-V

ნიკა ჯორჯანელი

VI

შოთა იათაშვილი

VII

როსტომ ჩხეიძე

VIII

ნუგზარ ზაზანაშვილი

X

ლალი გულისაშვილი

XI

ნაირა გელაშვილი

XII-XIII

ნიკა ჯორჯანელი

სილუატი

გამორთო შექი და სარკის წინ დადექი.
მე ისიც მხიბლავს, რასაც მასში დაინახავ:
შენი სილუეტი, რომელიც დგას ჩემში, როგორც სარკეში,
და ადგილიდან არ იძვრის.

თუ საბერელში სარკესთან აღმოჩნდი,
დადექი ცოტა ხნით მის წინ.
და შენ მიხვდები, რა მაქვს მხედველობაში,
რადგან ეს სავსებით აშკარა.

შევეშვათ შენს ნაკვთებს, რომლებშიც მოვყენი,
როგორც მყვინთავი გემის ბორბალში:
ნაკვთთა გარეშეც მომწონხარ.
იმის თქმა მინდა, რომ შენი სილუეტიც მიყვარს.

მე მისი სარკე ვარ. სარკე-აბლაბუდა.
ის ვერ თავისუფლდება და აღარც სწევს ურჩობას.
გახსოვდეს: ჩემში იხედები,
როდესაც სარკეში საკუთარ სილუეტს ხედავ.

ასეთად რჩები ხსოვნაში:
უნაკვთოდ, უსახოდ, უფეროდ,
ნყალქვები გაჭიმულ ღუზის ჯაჭვად
ფსკერისკენ მიმავალი დაწეხილი მყვინთავის აღქმაში.

დინება

უფერული მდინარის დინებას მივყვებით.
ირგვლივ გაუვალი ჭალებია,
სადაც მიმუნები დამწყდარან
და მარტორქები რქებით მისჭედებან ხებს.
ნყალში ამოშვერილ ქვებზე კუდებით შემდგარი თევზები
ფარფლებით დოინჯშემოდგმულნი გვიცერიან,
და მათ გამოხედვაში სიბრალული შეიმჩნევა.

ჩვენ წყალქვეშა ქვებს ვეჯახებით.
ბევრი ჩვენგანი სახიჩრდება ამით,
ბევრი ადგილზე იღუპება.
ქვები კი მხოლოდ იმას ცდილობენ,
დინებას რომ არ მივყვეთ,
გვაფერხებენ, რაც შეუძლიათ.
მაგრამ არჩევანი არცთუ სასარბიელოა:
ქვებზე დალუპვა ან დინების მიყოლა.

ვინც ქვებს თავს ვალნეთ, ვაგრძელებთ გზას,
მიყვებით და მიყვებით უფერული მდინარის დინებას.
გზადაგზა ერთმანეთს ვუცეკერით,
მაგრამ ათხელებას ჩვენს მზერებს წყალი.
გზადაგზა ვეჯებით ერთმანეთს,
მაგრამ ყრის წყალი ჩვენს ხელებს ერთმანეთისგან.

ძალაუნებურად თან მიგვაქს კველაფერი.
ჩვენსავით მიჰყებიან დინებას ჩვენი შარვლები, კაბები,
პერანგები, პალტოები, ქურქები, ფრაკები,
საცვლები, ქუდები, თავშლები, წინდები, ქოშები, წალები,
ქამრები, ზონები, ქარისები, ქინძისთავები.


მოგვყებიან მაგიდები, სკამები, კარადები, თაროები,
საწოლები, ტახტები, სავარძლები, სარკები,
ხალიჩები, ფარდები, პირსახოცები, ტილოები,
თეფშები, ფიქები, ფინჯენები, კოვზები,
ჩანგლები, დანები, ქვაბები, ქოთონები,
ჩაქუჩები, ხერხები, ქლიბები.

მივყავართ დინებას, მდორეს, მაგრამ ურყევს,
ჩვენ, სასაცილო კაცები და ქალები,
ჩვენი საცოდავი შინაური ცხოველებითურთ.
ირგვლივ კი რაყაა, სადაც შავი ლიანები ჩამოშვებულან,
მგლის ლევები ადამიანის შვილის ძვლებს ხრავენ
და ზურგზე მწოლ ავაზებს ხმარობენ გაოფლილი ლომები.

მოგვყებიან კარები, ფანჯრები, დარაბები, ბოქლომები,
გისოსები, გასაღებები, ანჯამები, ურდულები,
ბოძები, გუმბათები, ძელები, მილები,
ცულები, ცელები, თოხები, ნამგლები,
ფოცხები, ცოცხები, ნიჩბები, საპენტები,
ლურსმნები, ნემსები, კვერთხები.

მოგვყებიან ჯიბები, ჩანთები, სკივრები, ჩემოდნები,
ტომები, ტომსიკები, ყუთები, კალათები,
ზარდახშები, ყულაბები, ქისები, ბოხტები,
ბალიშები, ლეიბები, საბნები, პლედები,
ჭოვრები, თოფები, მათარები, სასწორები,
წამლები, კრიალები, თილისმები.

ხავსი და ჟანგი გვეკიდება ჩვენ და ჩვენს ნივთებს.
კიდურებზე მოუშორებელი წყალმცენარები გვეხვევა.
წყალი სულს გვიგუბებს, და კანი გვიმზვანდება.
ნელ-ნელა და შეუმწინევლად ვლპებით.
ვყარვართ და ვაყროლებთ დინებას.
მაგრამ დინებავე გვაპლობს.



წყალში ნავებივით დაცურავენ ცარიელი კუბოები
და კუბოებივით დაცურავენ ცარიელი ნავები.
და კუბოები და ნავები ლავირებენ ერთმანეთს შორის.
ჩვენ კი მათში გვიწევს ლავირება.
და უაზრო ფარსის მსგავსი რამ გამოდის.
მაგრამ არავის ესერება.

გვეანცავს დინება, გვტანჯავს, გვაძრწუნებს,
გვტებს და ტკუიდან გადავყავართ.
ნაპირზეც ვერ გავდავართ. და თუნდაც გავიდეთ,
ნაპირი არაფერს გვიქადის დინებაზე უკეთესს.
და ჩვენ ვერაფრით ვერ ვაგნებთ საშველს.
და გვემანჭება უსაშველობა.

და როცა ის ამას განსაკუთრებით შემზარვად აკეთებს,
იმხელა ხმაზე ვკივით ხოლმე,
რომ მასაც კი შევკრთობდით, ამ ხმის გამგონეს.
მაგრამ უცნობია მისთვის ჩვენი კივილი,
რადგან კივილს, გულთა ჯურდმულებიდან წამოსულს,
დინების მაინც უფრო ხმამაღალი დუდუნი გვიფარავს.

მიგვათრევს დინება, და ხელის ცეცებით
ვპოულობთ წარმოსახვით ფონებს
და მათზე აცოცვა გვინდა.
წყალდება ჩვენი შიგანი, და გარედანც ვწყალდებით
და წყლისგან განუსხვავდებით ვხდებით.
ყოველ ჯერზე სულ უფრო მერთალად იღებება წყალი
ქვების მორიგი მსხვერპლის გარშემო.

შესაძლოა, საშველი იმის შეგნებაა,
რომ უეჭველად არის საშველი
და რომ მთავარია მისი არსებობა, და არა მიგნება.
არც ის არის გამორიცხული,
რომ დინებაა საშველი თვითონ.
წყლით საცსე პირითაც თქმა რომ არ ლირს, ისეთი ჭირის.

ჩემს უბოლო მევლელობათა ნაზო შემკვეთო,
თითქოს მტოვებდე, მშორდებოდე ცეკვა-ცეკვითო,
მე კი ჩემ გამჭოლ გატარებულ შუბზე ვეკიდო,
თავზღუნული და ნახევრად ფეხზე მდგომარე,
ჩემი წარსულის მედახოდნენ შემოდგომნი,
მზე ფერდობებზე გორგალივით იყოს მგორავი,

გარემო დუმდეს შეგნებული თავისუფლებით,
რაღაცნარით უსაზღვროთი, ღრმით და ულევით,
გაზოლილიყნენ დაბალ ცაზე თეთრი ღრუბლები
და გამლილიყნოს ღრუბლების ქვეშ, ქვეყნის ნაპირთან,
ხედი, რომელსაც ლამისაა დასაბამიდინ.

ნარმოადგენ მწვანე მთა და მწვანე ბარი და
მათზე ქისები, სიმაგრენი, სააბატონი,
გზები, ერთგვარი და ერთგვარი კაზინო;
თითქოს მეცადა რაც არ უნდა, გინდაც მარტონი
ვყოფილიყავით, ვერ ამესხანა, როგორ მინდები;
თითქოს გეტყოდნენ ამას ჩემ წილ მთები, მინდვრები
იმის სანაცვლოდ, რომ მათ ნაცვლად გავიკინდები.

სახურავებზე ზამთრის ნადიმის
დევს ხელულები თეთრი ნამცხვრები.
მე კი სხეულში ჭვალად დამიდის
შენი სხეულის ცივი ნამსხვრევი.

ვილაცის ნელზე ტკბილი ნამისთვის
ბაგირის მსგავსად გაინასკები.
მე კი სხეულში ჭვალად დამიდის
შენი სხეულის ცივი ნამსხვრევი.

ნათელ საათებს დრო ცვლის დაბინდვის.
ისევ მზე მოდის, ფერთა დამსწერელი.
მე კი სხეულში ჭვალად დამიდის
შენი სხეულის ცივი ნამსხვრევი.
აღარ მინესებ თითქოს ამინდებს.
ავდორების წყებით აღარ მაცხრები.
მე კი სხეულში ჭვალად დამიდის
შენი სხეულის ცივი ნამსხვრევი.

თითქოს ზემოდან ვადა დამიდეს
გონის მოსასვლელად, უანასკნელი.
მე კი სხეულში ჭვალად დამიდის
შენი სხეულის ცივი ნამსხვრევი.
თითქოს ზემოდან ვადა დამიდეს
გონის მოსასვლელად, უანასკნელი.
მე კი სხეულში ჭვალად დამიდის
შენი სხეულის ცივი ნამსხვრევი.



შოთა რათაშვილი

ცესიერი ლიტერატორი

მე ვარ წესიერი ლიტერატორი.
არ ვიყენებ უწმანურ სიტყვებს.
არ ვეხები ტაბუებს.
ეპატაქს და კიჩს არ მივმართავ.

მე ვარ წესიერი ლიტერატორი.
ვწერ სიყვარულზე, მეგობრობაზე, სიკედილზე, ღმერთზე.
ჩემს ტექსტები არის ჩემი ცხოვრების ნაკადი,
გაცხრილული სიბილნებისაგან.

ადამიანები კითხულობენ ჩემს ნაწერებს და
იწყებენ სხვანაირად ფიქრს.
ხანდახან ნერვიულდებიან, წყობიდანაც გამოდიან,
რადგან მე ვარ წესიერ ლიტერატორი,
თუმცა ძალიან ძლიერი, გამაღიზანებელი.

ისინი გრძნობენ, რომ კითხულობენ
უკვე რალაც ძალიან იშვიათს,
თითქმის გამქრალს, გადაშენებულს
ლიტერატურული სამყაროდან.

მათ იციან, რომ ჯერ ცოცხალი ვარ,
მათ გვერდით ვცხოვრობ,
მათთან ერთად ვმგზავრობ
საზოგადოებრივი ტრანსპორტით,
ვსუნთქავ მოწამლულ ჰაერს,
ვუსმენ მოქალაქეთა მოწამლულ სიტყვებს,
და მიუხედავად ამისა, ვარ წესიერი ლიტერატორი.

მათ ეს ანცვიფრებთ,
მათ ეს აფრითობთ —
ვერ გაუგიათ,
ეს რა შარი ავიტებე
და ეს რა შარი ავუტეხე მათ,
რატომ ვიტცევი ასე ცუდად:
თავში რატომ მომიარა დამლუპველმა, გიურმა აზრმა:
ვიყო წესიერი ლიტერატორი.

მე ვიცი, მე ვგრძნობ,
ჩემს ზურგს უკან ნორმალური,
ანუ უნესო ლიტერატორები და მკითხველები
სინაულით როგორ აქვევნ თავებს,
როგორ ლაპარაკობენ ერთმანეთს შორის ჩუმად:
საწყალი...

თავის თავის უბედური...
ამას უკვე არაფერი არ ეშველება...
ნეტა რას იტანჯავს თავს,
ვითომ რა უნდა რომ ამითი თქვას?..

მე ვიცი, ზურგს უკან ბევრი დამცინის კიდეც:
ჩემს წესიერ სტრიქონებს ციტირებენ
და მნარედ ხითხითებენ,
მათ პაროდიობას ცდილობენ,
ამბობენ: ფუ, რა უნიჭობაა,
რა საზიზლობაა ასე წერა!
ლიტერატურულ უურნალებშიც სულ მაკრიტიკებენ,
პირდაპირ მინასთან მასწორებენ.
ამბობენ, რომ საშინლად ჩამოვრჩი დროს
და ვეღარ ვგრძნობ ცხოვრების პულს,
რომ ჩემი ლექსიკა დაძველდა, იდები კი დახავსდა
და თანამედროვე მკითხველისთვის
ძნელად აღქმადი გახდა.

უკვე აღარც კი ვიცი, რამდენი წელია,
რაც ასე ვცხოვრობ, რაც ამას ვიტან.
თუმცა იშვიათად მაინც ნამდევეს ხოლმე ცდუნება,
უკარი ვთქვა ჩემს არჩევანზე,
ჩემს ამ მძიმე მწერლურ ხვედრზე და
მარგინალი ხელოვანი შევეცადო
შევუერთდე მეინსტრიმს,

მოვეშვა, მოვისვენო,
მაგრამ როგორც კი ამაზე ვიწყებ ფიქრს,
მახსენდება, რომ მე ვარ
უკანასკნელი წესიერი ლიტერატორი მსოფლიოში
და ამიტომ ბოლომდე უნდა დავრჩე ასეთად!

დრო მიჰქის,
ახალი შედევრები იქმნება,
ახალი ძესტელერები იწერება,
ახალი თაობები მოდიან და მკვიდრდებიან,
ახალი პოპულარული მწერლები იპყრობენ
მკითხველთა გულებს,
ახალი პრემიები რიგდება,
მოკლედ, დრო მიჰქის ისე, როგორც საჭიროა,
მე კი ძველებურად ვაგრძელებ
წესიერი ლექსებისა და პოემების,
მოთხოვებისა და რომანების შეთხვას,
ისევ არ ვიყენებ უწმანურ სიტყვებს,
არ ვეხები ტაბუებს,
ეპატაქს და კიჩს არ მივმართავ.
ასეთი ქცევით ლიტერატურული საზოგადოება
საბოლოოდ მოვიდულე,
თითქმის უკვე აღარავის ესმის ჩემი,

მაგრამ რაც უნდა უცნაური იყოს,
ჩემს ყოველ ახალ ტექსტს
მაინც დიდი ინტერესით კითხულობენ, აანალიზებენ.
მკითხველს რაღაც იზიდავს ჩემს ნაწერებში —
ისანი ვერანაირად ვერ ხვდებიან, თუ რა —
მაგრამ ფაქტია, რომ იზიდავთ —
აღმოჩენებთ, მაგრამ იზიდავთ.

ამის საიდუმლო კი მხოლოდ მე ვიცი:
მე ხომ უკანასკნელი წესიერი ლიტერატორი
ვარ მსოფლიოში,
უკანასკნელი კი მუდამ საინტერესოა.

გერის აასუხები

1.
მამა გაბრიელ, სამყარო მართლა თეატრია?
თუ თეატრია,
მამინ ღმერთი რეისორი კი არაა,
არამედ არის ერთი უბრალო გამნათებელი,
ხან მზეს რომ უშვერს სცენას,
ხან მთვარეს.

2.
მამა გაბრიელ, პარაშუტი როდის იხსნება?
მამინ იხსნება,
თუ პარაშუტის ქარხნის მუშები,
იმის გამო, რომ გადაიღალნენ
ანდა ხელფასი ჩამოაჭრეს,
პარაშუტების კეთებისას არ ილანძლებიან.

3.
მამა გაბრიელ, რა პროცესია დაერისტალება?
დაკარისტალება ის პროცესია,
რომელიც მთელი სულით და გულით
უხარიათ და ბოლომდე ესმით
ბავშვებსა და საშაქარლამოს მეპატრონებს.

4.
მამა გაბრიელ, პარფეუმერია რამ გააჩინა?
სუნზე ფიქრმა გააჩინა.
ადამიანი ყველაფერზე ფიქრობს, ვთქვათ, იგი
ფიქრობს ხმაზე და აჩენს რადიოს ანდა ტელეფონს.
ფიქრობს თოვლზე და აჩენს თხილამურს.
პირდა, აბა რა გასაკვირია, ეფიქრა სუნზეც...

5.
მამა გაბრიელ, რატომ ხდება ყველაფერი
ერთჯერადი თანდათანობით?
ნაგავმა რომ მოიმატოს და დაშინდეს ადამიანი.
თუმც ეს მაინც არა ხდება და მე მგონია,
ამ პროდუქციას სამყაროში სისადავის
შემოსატანად ანარმოებენ.
„მადონას“ სერვისის თევზს აშკარად ერთჯერადი
თევზში ჯობია!

6.
მამა გაბრიელ, სხვენი ჯობია თუ სარდაფი?
ეგ რა კითხვაა?
რა თქმა უნდა, რომ ორივე ერთნაირად უვარგისა?!
მინაში დროზე ადრე ვერ ჩახვალ,
ვერც ცაში ახვალ დროზე ადრე,
ეგ სხვენი და სარდაფი კი ილუზიებს ქმნის.

სლოვანის დახასიათება

1.
სლოვანი არსებობს,
რათა ხანდახან
ადამიანებს შეახსენოს,
რომ არსებობს რიტმი.

2.
როცა მთელი დღე გასლოკინებს,
მხოლოდ მაშინ იწყებ
ცხოვრების ტემპის შეგრძნებას.

3.
ხვდები: სად ჩქარობ,
სად ზუსტად სცემ ბოლოთას.

4.
თუ პოეზიაში გადაიტან,
სლოვანი ლექსის ზომა აღმოჩნდება.
5.
ათასწლეულებია ასლოკინებენ პოეტები
და ამას სამყაროს გულისძვერა ჰქვია.

6.
სლოვანის არ ეჩქარებოდა არსად,
მაგრამ მე მაინც აი, დავამთავრე ეს ლექსი
და გავაგრძელე
შემანუხებელი სლოვანი.

7.
შემანუხებელი,
მაგრამ სამყაროს რიტმის განმსაზღვრელი.

კაყაჩოს ლოცვა

უფალო, შემიწყალე,
მე მონა ღვთისა, სახელად (ყაყაჩო),
მინიდან რომ ამოვედი,
ხასესა წითელი,
შავი გულით,
თვალისმომჭრელი,
ამოვედი, მზეს ავყურებდი,
მიხაროდა ეს ცხოვრება,
მინა მკვებავდა,
მერე მოვიდნენ,
მომწყვიტეს და სადღაც წამილეს,
მეუბნებიან,
რომ რალაც ცუდისათვის გამომიყენეს,
უფალო, შემიწყალე,
მე მონა ღვთისა, სახელად (ყაყაჩო),
ყვავილი რომ ვარ,
მაგრამ ცოდვილი,
არაფერი გასაკიცხი რომ არ მინდოდა ჩამედინა
ამ ქვეყანაზე,
მოვედი, რათა გამეხარა,
რათა ჩემით გაეხარათ —
პეპლებისთვის, ფუტკრებისთვის,
შეყვარებული გოგორებისთვის და ბიჭებისთვის ამოვედი —
რათა ჩემით გაეხარათ,
თუმც კი ვაჟს არაფერი არ ეთქვა ჩემზე,
სიტყვაც კი არ დასცდენოდა,
პო, აი, ასე არ გამოვიდა,
უფალო, შემიწყალე,
მე მონა ღვთისა, სახელად (ყაყაჩო),
ყვავილი რომ ვარ,
მაგრამ ცოდვილი.



დღეს არაერთი ნამდვილი პოეტი და
პოეზიის მკვლევარი ჩივის „უემანციონ“
ანუ სტერილური პოეტური ტექსტების
მომრავლების თაობაზე. მართლაც, გადა-
ხედავ ერთ გამოცემას და იპოვი ავტორის
300 სტერილურ სტრიქონს, სხვა გამოცე-
მას გადახედავ, იქაც მიაგნებ იმავე ავ-
ტორის 200 ასეთასევ სტრიქონს, მესამეში
— კიდევ 250-ს... „სტერილური პროდუქ-
ტი“ ადვილად იწარმოება... მერე სტერილ-
ური ტექსტების მწარმოებლების ერთმანე-
თის საქართველოს საქართველოს მიაკვლევ ად-
ვილად... ეს დღევანდელი „პოეტური სი-
ნამდვილის“ ერთი პროლეტარია. ამ კონტე-
ქსტში — საბედნიეროდ, „დაბეჭდილ პოე-
ზის“ დღეს ბევრი მკითხველი არა ჰყაუს.
პოეზიის დღევანდელი მკითხველი, უმეტე-
სად, განაფულია, „პროფესიონალია“ და
ადვილად არჩევს კარგსა და ცუდს, ემა-
ნაციურსა და სტერილურს; ამდენად, არა
მგონია, რომ ამ წყალწყალა, ფსევდოინ-
ტელეკულტურა პროდუქციამ მნიშ-
ვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მკითხ-
ველის „მხატვრული ორიენტირების უნ-
არზე“.

გაცილებით უარესადაა საქმე თან-
ამედროვე, „ავანგარდული“ სასიმღერო
ტექსტების „სფეროში“. თუკი „დაბეჭდილ
პოეზიას“ ცოტა მკითხველი ჰყავს, პოპ-
მუსიკას უამრავი ყმაწვილკაცი თუ
„ყმაწვილქალი“ უსმენს — გაუწაფავი,
„არაპროფესიონალი“ მკითხველი თუ მსმე-
ნელი...

როგორ იქმნებოდა სასიმღერო ტექსტები უწინ? ისეც ხდებოდა, რომ კომპოზიტორი არსებულ, გამოკვეყნებულ, უმეტესად, მაღალხარისხოვან ლექსზე (მისი შცირე გადასხვაფერება-მორგებით, ან ამის გარეშე) ქმნიდა მუსიკალურ ნაწარ-მოებს, მაგრამ უფრო ხმირად სხვაგვარად ხდებოდა: ან სიმღერის ტექსტი მუსიკალური ტექსტის პარალელურად იქმნებოდა, ანდა პოეტი ტექსტს უკვე გამზადებულ, თუ თითქმის გამზადებულ, მუსიკალურ ნაწარმოებს უსადაგებდა — ტაქტის, რიტმის/რიტმული მახვილების და სხვა მუსიკალური ელემენტების შესაბამისად. ეს საკმაოდ რთული და სპეციფიკური სამუშაოა, რაც ამ საქმეში გარკვეულ განაფასაც, გამოცდილებასაც მოითხოვს.

დიახ, სასიმღერო ტექსტებს ძირითადად პოეტები ქმნიდნენ და, როგორც ზემოთ აღვინიშნე, შესანიშნავადაც ქმნილენენ. აქ შეიძლება, დაისვის კითხვა: რას ნიშნავს პოპულარულ-სასიმღერო ტექსტთან მიმართებით ეპითეტი „შესანიშნავი“? ამ შემთხვევაში „შესანიშნავი“, ჩემი აზრით, ნიშნავს გულწრფელს, გამართულს, გემოვნებიანს, დასამახსოვრებელს (კონცეპტუალობა, „ფილოსოფიური სიღრმე“ თუ „პოლისემანტიკურობა“ სასიმღერო ტექსტებს ნაკლებად მოეთხოვება). მაგალითად, ყველას კარგად ახსოვს გიორგი შენგაველისას მშვენიერი მიუზიკლის „ვერის უბნის მელოდიების“ სასიმღერო ტექსტები (და გიორგი ცაბაძის ბრწინვალე მუსიკა(3): რა მოკულობის და რა ხარისხს

ის „სამუშაო“ შეასრულა ჩვენმა ცნობილ
მა პოეტმა მორის ფოცხიშვილმა! ვის შეიძლება, დაავიწყდეს: „ტრიალებს, ტრიალებს, / ბედის ბორბალი ტრიალებს, / დრო
მიდის, დრო მიდის, / დრო უცებ გაგვა-
ტიალებს. / ვინ იცის, ვინ იცის, / რა
მოგვიშუქებს იარებს, / ტრიალებს, ტრია-
ლებს, / ბედის ბორბალი ტრიალებს, /
ტრიალებს“ და სხვა სტროფებით უკარი-
ური ფრაზები ამ კინოფილმიდან? ამასთან,
პოეტი „იხელთებს მომენტს აშკარად
ანტისაბჭოთა ტექსტის შესაქმნი-
ნელად (ფილმი გასული საუკუნიის
სამოცდაათიანი წლების პირველ ნახევარ
ში გამოვიდა ეკრანზე), „გაგანია საბჭოთა
ავტორიტარიზმის“ პერიოდში): ასევე, ყვე-
ლას გვახსოვს პოლიციელების ცეკვა-მარ-
შირების სცენა ბაადურ წულაძის მონაწილ-
ებით -

თეთრია თუ შავია ·
ყველა დამნაშავეა ·
ერია თუ ბერია -
ყველა დასაჭერია ·

თან ამას ყველაფერს „რაზ, დვა, ტრი“ ერთვის!.. გარდა ამისა, აქ რითმის სფეროში აღმოჩენაზეც შეიძლება, ვისაუბროთ

* *

აი, მაგალითად, შავია-დამნაშავეას თანამედროვე ვარიანტი: „ლამეგა სადღაც ქალაქში / დავრჩები შენთან ბანაკში / ვიცი რომ გენატრები / შავი ზღვა თეთრი აფრები. // მისამლერი: ... ეს ზღვა რომ შავია — დამნაშავეა. / დამნაშავე ვინ არის? / სულ მაგონდები და მზეზე ვთბები / და როგორც მე მინდა სად არის? / ეს ზღვა რომ შავია — დამნაშავეა. / დამნაშავე ვინ არის? / სულ მაგონდები“ და ა.შ.; დავანებოთ თავი ტექსტის ხარისხს და დაუკუვირდეთ რას გვეუბნებიან: კაცი რჩება ბანაკში (რომელიც, კოხტექსტის მიხედვით, ზღვის სანაპიროზეა გაშლილი), სადაც (ასევე, კონტექსტის მიხედვით) ქალი იკაუებს ჯანმრთელობას; ამასთან, ქალს კაცი ენატრება; მიუხედავად ამისა, კაცი წევს მარტო, მზეზე თბება და აგონდება ქალი, რომელიც ამავე ბანაკშია; რატომ? იმიტომ, რომ როგორც კაცს უნდა, ისე სად არის? და რატომ არ არის ისე, როგორც კაცს უნდა? იმიტომ, რომ დამნაშავეა ზღვა? რატომაა ზღვა

თად ყოფინის დღეები დღეებს არ მიყვებოდ-
და / მეგონა ჩვენი სიყვარული არ
დამთავრდებოდა / მაგრამ თურმე დროს
ჰქონდა სულ სხვა ფიქრები / და დღეს მე
სხვასთან ვარ და შენ სხვას ეფერები.“ და
ა.შ.; ან — „ამ მშვინიერ დღეს, როცა ყვე-
ლას უმართლებს / მოდისარ ჩემთან, ბურ-
ლავ ტვინს, მიშლი ნერვებს, / მეუბნები, რომ
ბედი არ გქონია / რომ ჩემთან ყოფნას მარ-
ტოობა სჯობია. // მომიყვები, როგორ არ
გიმართლებს / გესმის მხოლოდ ტყუილის,
ვერ ხედავ სიმართლეს, / მე ჩუმად გისმენ,
ვგრაზდები თანადათან / და თუ არ გაჩუმ-
დები, გისვრი ფანჯრიდან // მისამდერი:
(...) გინდოდა მეთქანა, ხოდა აღარ მიყვარხ-
არ, / გინდოდა გაგევო, ჰოდა აღარ მიყ-
ვარხარ. // (...) // თუ როდესმე მოგინდება,
მე რომ მიამბო / თუ გინდა ყველაფერი გამ-
იზიარო, / მე ჩუმად მოგისმენ, გაგიღმებ
ხანდახან / და თუ არ გაჩუმდები, გისვრი
ფანჯრიდან“ და ა.შ.; ან — „მიდიან დღეე-
ბი / მე კი უშენოდ ვარ / ამ აღამაზ ღამეს
მოგეფერები / მითხარი სად ხარ და მოვ-
ალ. // როცა არწივი კავკასის დასწივის /
და სხეულში ურუანტელი გაგივლის, /
როცა დამე უძილოდ გაივლის / და ჩემი
გოგო აქ ტირის / ჩემი სული აქ ყივს / უშე-
ნობას გაჰკივს, გაჰკივს“ და ა.შ.; შიგა-

ნუგზარ ზაზანაშვილი

„ჩვენი, შინაგანი, გზება, კულტურა“...



შავია — დამნაშავეა (დავიმახსოვროთ ერითმა, მას ქვემოთაც შევხვდებით).

ანდა, ავილოთ პეტრე გრუზინსკის ტექსტები. პეტრე გრუზინსკი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სწორედ სასიმღერო ტექსტების ის ოსტატი იყო (თუ არ მემღება, მას სულ ერთი-ორი პოეტური კრებული აქვთ გამოცემული, სადაც სასიმღერო ტექსტებიცაა თავმოყრილი). ბევრს ახსოვს, მა გალითად, ძველთბილისური: „კაცი იყავა კაცური და / სადაც გინდა იქ ილოცე“ ანდა „დაღამება სევდას მიქსოგს, / გულრითი გავართო, / დავჯდები და დავწერ ბარათს, / ისევ უმისამართოდ.“, ან კიდევ ეს

გავლენ წლები,
დაზამთრდება სულში,
ნავა, რასაც სიჭაბუუ ჰქვია
და რაც ასე აღრი იყო გუმინ,

მას ეკუთვნის ტექსტი რევაზ ლალიძი
„თბილის“-სათვის, ასევე სასიმღერო ტე
ქსტები კინოფილმებისათვის „დღე პირვე
ლი, დღე უკანასკენელი“, „რაც გინახახვა
ველარ ნახავ“, „მიმინო“ და სხვ.

დამნაშავე? იმიტომ, რომ შავია (მიუხედავად იმისა, რომ შავი სულაც არ არის — უბრალოოდ, სახელი შეერქვა ასეთია: აქ „შავი ზღვის“ ეტიმოლოგიურ ვერსიებს აღარ ჩაუსულრმავდები).

აი, კიდევ ტიპობრივი, „ცარილები“, უხარისხმა: „მოვალ, მოვალ ვაკის პარკში / და მოგიტან იებს, / მოვალ, მოვალ სიყვარულით / გაგიმზელ გულის ფიქრებს. / დამეტლოდე გენაცვალე / ჩემო საყვარელო, / გაბზარული სიყვარული / მინდა გავმოტელო. // მისამდერო: ... მინდა გაგებულო ხანდახან / ცრემლით დაგიმზენო კალთა, / მაგრამ შენ ისეთი კარგი ხარ / როგორ განყინონ აპა!?”

კიდევ ერთი უფრო მეტად „შინაარსი-ანი“: „მე ვიძირები როცა ვხედავ შენს ლამაზ თვალებს / მე ვერ ვხვდები რა ანელებს ამ ცხოვრების წამებს, / ვიცი რომ სიგარეტი შენს ჯანმრთელობას ავნებს / მთავარია რომ შენი სიყვარული არაფერს მავნებს. / შენ კი ნაზად მეფერები ... / ენა ხოდზე მოდის, / ტყინში კი აზრები ქრება / და ისევ ჩევნი შეხვედრის საათი დგება.“; ანუ კაცი იძირება, მაგრამ ვერ ხვდება, რა ანელებს ამ ცხოვრების წამებს (იმ ცხოვრების წამების შენელების შესახებ), ეტყობა, მას მეტი ინჯირმაცია გააჩნია), გარდა ამისა, მან იცის, რომ სიგარეტი ჯანმრთელობისთვის მავნებელია, და რომ სატრიუოს სიყვარული მავნებელი არ არის; ისიც შესანიშნავად იცის, რომ ტყინში აზრების გაქრობა (ნეტავ, კიდევ სად შეიძლება აზრები წარმოიშვას ან გაქრეს?) სატრიუოსთან შეხვედრის საათის დადგომის მომასწავებელია. მოკლედ — ტექსტი პირთამდევა გაჯერებული ცოდნით!

დაშიგ „აღმოსავლურებიც“ გაისმის — „რა ვიხილე შენი სახე ელვარე / გულში ვი- გრძენ სიყვარული მდელვარე / მსურს მო- გიძლვნა მთელი ქვეყნის ლექსები / დაგი- ფინონ ჩემი გულის რელსები“ და მრავალი მისთ. (cit.www.geolyrics.com-ის მიხედვით; პუნქტუაცია დაცულია).

და ეს ყველაზე უარესი ტექსტები არ გეგონოთ — ეს საშუალო დონეა: ამისთანა და ამაზე უარესი ბევრია; უკეთესი, გამართული თუ გემოვნებიანი კი — ძალიან (უმარესი).

ასეთ გამონაკლისთა რიგს მიეკუთვნება, მაგალითად, ცნობილი საბავშვო სიმღერა „კანფეტიბის თოვლი“, რომლის

ახლახან შეიქმნა. მას ახალგაზრდული ჯგუფი „პოროპორეზია“ ასრულებს (აქ სამართლიანობა მოითხოვს ალინიშნოს, რომ ტექსტის დამახინჯებისა და მუსიკის უკიდურესი „გაპარდპოპების“ მიუხედავად კლიპი სახალისოა, მასში იუმორიც ურევია და ბიჭებსაც ნიფიერება ეტყობათ — იხ. <http://www.geolyrics.com/4690>

მოდით, დავსვათ კითხვა: რატომ ცოცხლობს ამდენ ხანს ეს, ერთი შეხედვით, უმარტივესა ტექსტი? ჩემი აზრით, პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ ის ნამდვილია, ნალდია და მშვენიერ, ცოცხალ მეტაფორებს შეიცავს. ქალბატონმა მაკამისიც მომწერა, რომ ასეთი სიზმარი მართლა დაესიზმრა მისი შეგობრის (იმუამად) პატარა ქალიშვილს ანან ასათანას, რომელიც შემდგომ ბასტი-ბუბუს (სადაც ქალბატონი მაკა დღესაც მოღვაწეობს) პირველი თაობის სოლისტიც გახდა; ანუ ბაკშის მიერ ნამდვილად განცდილმა ხელოვანის ნარმოსახვაში ასეთივე ნამდვილი შემოქმედითი ეფექტი გამოიწვია, ამას დაერთო პროფესიონალიზმი და „ნამდვილი შემოქმედითიმა აქტმა“ „შესაბამისი შედეგიც გამოიღო; და ალბათ, ეს უშუალობაც, არამანერულობაც აკლია ზემოთ ციტირებულ ტექსტებს...

და ბოლოს, ვერაფრით ვიკავებ თავს კიდევ ერთი, ამჯერად სახალწლო, შედარებით „გახმაურებული“ სიმღერის ტექსტის უფრო ვრცელი ციტირებისაგან:

ახალ წელს, სურვილები ხდება.

ახალ წელს, სხეულურაჩაც კი თვრება. აქედან, ყველა მივდივართ ჩემთან. გავერთოთ, დილამდე ვიყოთ ერთად.

მისამლერი:

„გილოცავთ, ახალ წელს გილოცავთ. მარტინ-ბიანეოს დაცლი. ქმარი თუ მაცლის და დაცლოცავთ. დაძერეთ, ტუჩები ბოროტესით. თქვენს გულს ნამებში აგხებს და გჩუქნით ჰანგებს,.. დღეს ბოროტესი... ტოქსი... ტოქსი...“

ნაძისებე, დიდი ნაძისებე, და თოვლის ბაზუა, გვერდზე გავიხმე. ვთხოვე, ფული, სახლი, ბინა, მანქანა. სამარცხინოდ მთხოვა ცოლად ნავანა, მე.

მე, მოვთხოვე ბაზუას რომ ამ წელს მაიც განვითარდეს ჩემი ინფრა, ინფრა... სტრუქტურა. და განვითარდეს, ჩევნი, მინაგანი, გზება, კულტურა.

(და ა.შ.; აქ სასვენი ნაშები, ეტყობა, „ტექნოს“ რიტმული, აქცენტირებული, მოკლე პაუზების მიხედვითაა დასმული). ამ, ვითომ, პოსტმოდერნისტულ და — ესეც უნდა ითქვას — ვერსიფიკაციის კუთხით შედარებით გამართულ ტექსტს იუმორისტულად ჩათვლიდა ადამიანი (ეს სიმღერა სწორედ ერთ-ერთ იუმორისტულ გაცემისში „გაუღირდა“, მაგალითად „ტერიონზული“ ტექსტები რომ არ არსებობდნენ, ანდა ამ ტექსტში გვერდიგვერდ რომ არ ფიგურირებდნენ „სხეულურაჩა“, „მარტინბიანი“, „ინფრატრუქტურა“ და „ჩევნი, შინაგანი, გზება, კულტურა“).

და ასეთებს დღე და ლამაზ უსმენს ათასობით ახალგაზრდა, ბერება ასეთი ტექსტები ზეპირადაც კი იცის! პოდა, ნარმოვიდებით, ასე თუ გაგრძელდა, რა მიმართულებით განვითარდება ჩევნი „გზება-კულტურა“, გნებავთ — შინაგანი და გნებავთ — „გარეგნი“?! თამასა მეტის მეტად დაწეულია — ზედაპირობამ, ზერეკობამ, გემოვნების ნაკლებობამ ნიაღვარივით ნაღევა ქართული პოპულარული მუსიკის „სასიცოცხლო სივრცის“ უდიდესი ნაწილი.

არ ვიცი, როგორ შეიძლება ამ ნიაღვრის შეჩერება: მე პოპინდუსტრიაში არა-სოდეს მიმუშავია და მის სპეციფიკას ნაკლებად ვიცნობ. ერთი კი უთურდ ვიცი — ასეთი იოლი თუ ქარაფშუტული გზით შორს ვერ წავალთ: ეს „ნანარმოებები“ საქართველოს ფარგლებს ვერასოდეს გასცდება. ამაზე გაცილებით უარესი კი ის არის, რომ მსგავსი „პლასტი“ — ზემოქმედებს რა ახალგაზრდებზე, მომავალ თაობებზე — ამდაბლებს საქართველოს მოსახლეობის კულტურის დონეს სანგრძლივადიანი პერსპექტივით.

ლალი გულისაშვილი

ჩემი სევდიანო მეგობარო, მომისმინე.

ერთ სიმღერას გეტყვი,

სოფელში მოწყენილ ბავშვებს

ულოცავდნენ ხოლმე:

ავი თვალი — გაშრის მძივი,

ქარვა — თაფლი,

სისხლი — ლალი,

გარეთ — ალი,

შინ — მამალი,

გარეთ — დარდი,

სახლში — ვარდი,

შავი — დანა,

ციხე — თეთრი,

გარეთ — ქაჯი,

სახლში — ღმერთი,

შენსკენ — ჯვარი,

მტრისკენ — ჯავრი,

შენსკენ — ნანა,

მტრისკენ — დანა,

გარეთ — ალი,

შინ — მამალი...

ჩემი სევდიანო მეგობარო,

მომისმინე.

შენთვის გავიხსენე ეს სიმღერა,

გულს ჩაგანვეტებ,

სამურნალ ბალახივით უებარია.

ბოლოსდაბოლოს,

მიყვარხარ და

არ შეიძლება, ცუდად რომ იყო...

„ისარი მომაქვს კისრითა“
ხალხური

სანთელივით მადგას მხრებზე

შენი მზე და მთვარე,

დღეს თუ არა, ხვალ გაგიფენ

ფეხებუშ დარუბანდის კარებს...

დღეს თუ თავს ვერ შემოგწირავ,

ხვალ მოგიტან მეტრიდი ისარს,

ბაზალეთი შვილს გაგიზრდი,

რომ მექებდი, ეგებ ის ვარ...

სიხარულით დავაკვდები

შენთვის მოღერებულ დანას,

შირაქისკენ ცხევარს დაგიმზებმს,

მცხეთას მოვეკი პურის ყანას...

ეკლესიას აგიშენებ,

რომ მნატრობდი, ეგებ ის ვარ,

ხალხში ჩავრგავ უგავილივით

მერდით ნამოღებულ ისარს.

შენ რომ გიყვარს, ის დრო არის, ბები, ისამანს გაუშლია კვირტი,

ჩევნი ბალი სამოთხეა მწვანე,

კაკლის ხეზე შემოფრინდა გვრიტი...

სალამოა საოცარი, წყნარი,

რას გაიგებ, როგორ მწყება გული,

შენს სანოლზე აღარავინ წვება,

შენს ყვავილებს აღარავინ უვლის...

ლამეს მოაქვს საყვარელი ხმები,

შენს ზღაპრებში მეზრდებიდა ფრთხილი

ვარდის ბუჩქები ბულბულები სტვენები,

რომ გიყვარდა, ის დრო არის, ბები...

გაძნელებულა სიცოცხლე...

გმაღლობთ გაძლების ნიჭისთვის!

ოხერი თავი მინდოდა

ერთი ღარიბი ბიჭისთვის...

არ დაგვიდია პირობა,

თორმეტი წელი ვუცადე,

ცხვარ-ჯოგით გამდიდრებულს კი

უარი გამოვუცხადე!

მერე დავჯე და ვიტირე,

ცრემლა აღაზანს ერთვოდა,

მიყვარდა... როგორ მიყვარდა!

უარი როგორ მეტქმოდა...


დარიბს და ღატაქს, უპოვარს,

თორმეტი წელი ვუყურე,

ბორილის კოშკი რომ ამიგო,

კარები გამოვუცხურე...

ნავიდა... გიუად ჩამთვალა, ქარმა დახვეტა ველები, ვტიროდი... როგორ ვტიროდი! ჩუმად ვიჭამე



თუ მექსიკება არ მღალატობს, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში პირველად ჩატარებული ეს დღესასწაული „ბალდათში მაიაკოვსკის დღეებად“ იყო სახელდებული.

ამ დღეს ნიჭიერ, ნარმატებულ ახალგაზრდა შემოქმედთათვის ჯილდოებიც კი გაიცემოდა და ისინი მაიაკოვსკის დღეების გამარჯვებულად იწოდებოდნენ.

მაგრამ... ვერ ივუა „დიდმა ცენტრმა“ ჩვენი ეს ინიციატივა, სულ მალე იგი საკავშირო ღონისძიებად გამოცხადდა და მაიაკოვსკის სახელობის პრემიაც დანეხსდა...

თუ მცალა, ამ შემთხვევაში, ლაპის ნინაშე არაფერი დაშავებულა.

მამინდელმა ახალგაზრდა თაობამ ერთმანეთი უკეთ გაიცნო. დაუმეგობრდნენ ერთმანეთს. დაინტერესდნენ ერთმანეთის შემოქმედებით, ისტუმრეს და ესტუმრნენ სხვადასხვა რესტურნიკების ნარმომადგენლებს. ცალკე ჩიგნებადაც კი გამოსცეს მათი პოეზია.

ჩვენი „მაიაკოვსკელების“ — მზია ხეთაგურის, დალილა ბედიანიძის, მანანა ჩიტიშვილის, ბალათერ არაბულის, ვახტანგ ხარჩილავას, ლაშა ნადარეიშვილისა და სულგანათლებულ დავით მჭედლურის ერთერთი დამეგობრებულობაგანი მეც დავიმეგობრე.

გაგიკ დავთიანი მაშინ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ სომხეთში უკვე ცონბილი პოეტი იყო; მართალია, იგი პირადად მაიაკოვსკის დღეებში გავიცანი, მაგრამ როგორც პოეტს, რომლის „ნათლიაც“ პარუირ სევაკი გახლდათ, კარგად ვიცნობდი...

მას მერე, აგერ უკვე სამი ათეული წელიც კი გავიდა და მისი შემოქმედებისადმი ინტერესი დღემდე არ გამნელებია. ამასთანავე ისიც მსიამოვნებდა, რომ იგი ქართული პოეზიისადმი ინტერესს ყოველთვის იჩენდა და დღემდეც ინტენსიური შემოქმედებითი კავშირი ჩვენთან არ გაუწყვეტია...

გთარგმელი

გაგიკ დავთიანი

მარტოობა

მარტოსულობა თუ მარტოობა?! —
იგი დღე არის — მხოლობითი —
შენი მობისა!

უცხო ქალაქში ჩარჩენილი დღეს რომ იხსენებ
და მომლოდინის მღელვარებით რომ ელოდები:

აპა,
საცაა,
მახარებლის
დარეკავს ზარი,

გაალებ კარს და
ზღურტლთან მომდგარ ფოსტალიონის

იხილავ სახეს გალიმებულს

და ხელს გამოწვდილს,

რომელშიც ლია ბარათია მომლოცველისა,

მაგრამ...

დღემს ზარი შემზარავად

და შენ ვერ გწვდება

საუკეთესო სურვილებით მომცრო ბარათი

შენოვისვე

შენივ მოსატეხი ხელით გზავნილი...

მარტოსულობა თუ

მარტოობა?!?

ეს დღე ამქვეყნად შენი მოსვლის დღეა ძვირფასო,
მთელ წელინადში ერთადერთი

დღე არის შენი,

საკუთარ თავთან პირისპირ რომ ხვდები ამჟამად,

უცხო ქალაქში

ორგზის უცხო ციისქვეშ

და სამგზის

უცხო, უფერულ მიყუჩებულ ქუჩაზე,

სადაც

ქუფრ და უსახურ "ხრუშჩინვაში" ქირით დგახარ და,

ვაგლაბ,

ამ სახლის მისამართი რომც გეითხოს ვინმემ,

აბა, რას ეტყვი, რაც არ იცი, ჩემო ქირფასო...

ჩვენს ოცნებებში ცხოვრობს მყოფადი,

როგორც უჩუმრად — თესლში ნაყოფი,

ვით ანწყო — მთხვევლი ყოფნა-არყოფნის —

ჩვენს ოცნებებში ცხოვრობს მყოფადი...

დღო, ულმობელი, არც რას მოგმადლის —

უამი კვლავ რჩება ლოცვად სამყოფი?!

ჩვენს ოცნებებში ცხოვრობს მყოფადი,

როგორც უჩუმრად — თესლში ნაყოფი.

იგ ლამით

არ ვიცი

ზეცა ვარსკვლავებით ჟიეჟიკებდა თუ

მძიმე მწევარამი არ იძეროდა

იმ ღამით ?!

იქნებ

ირგვლივეთს მთვარის დაჰუცენოდა შუქი ნათელი? —

ძილში ვიყავი

და ხატება

არ მახსოვს მისი...

უცახცახებდა ხმა და

სუსტად მეყურებოდა;

ვით პარკინსონით სწეულს ხელი, —

უცახცახებდა...

მე მისივე ხმით

ვერ შევიძელ მისი ჩახატვა,

ხმა მაცდურია,
ძილში ვიყავი...

მოვიდა იგი
და, ზოგჯერ როგორც ზღაპრად ხდება,
სამი რამ მითხრა:

კალიფორნიელ ჩუქასავით
წყალში თაბაქოს
ნუ ჩაალბობო
და მის წვენში ნუ ჩაიხრჩები...
ფუჭი საქმეა,
ვერ შეიცნობ ასე ჯადოქარს...

და კიდე ერთი —
შეკილი მშობლის დანაშაულზე
ვასუხს არ აგებს,
მშვიდად, მშვიდად,
მშვიდად იყავი;
(უმაღ ვირწმუნე,
ისე მშვიდად მშობლვრავდა იგი!...)

დაბოლოს,
როცა ჩემგან უკვე შორს იყო, წამით,
დავიწყებოდა თითქოს რაღაც, მიმიბრუნდა და
მითხრა:
კეთილი სურვილებით როცა აცილებ
დღეს ნებისმიერს უკვე გავლილს და ნამყოდ ქცეულს,
დაიმახსოვრე ისიც,
იმ დღეს საკუთარ თვალში,
ჩემო კეთილო, თუ რამდენჯერ დაპატარავდი!...

პაგლი – მაიმუნეს

და, რა თქმა უნდა...
ოვანეს გრიგორიანი

და, რა თქმა უნდა,
იდეა შორმის
მაიმუნს უნდა ერთა პირველი,
რომ მაიმუნურ წარსულის ვალი
გადახსადა არა ვით ფრინველს,
არცა ვით ცხოველს, — მიბაძვით მსგავსის
ჩამომხმარიყო ხიდან და არსი
მთლად შეეცვალა: წელში გამართულს
გაევლო, ენყო ბქობა, კამათი...
არ აცყოლოდა ბანქოს, კამათელს,
გასასტერებლად მავან დებილის
მოერგო თავზე დიდეკაცის ქუდი,
მერე ყავარზე გასადებელი
მოერგო ბილი, ბათქუნა კუდი,
ჩამოცვა ხამლი და მერცხლის ფრაკით
წინ სარცხვენის, უკან კი ტ..კი
რომ დაეფარა... და სხვანის და არა მერცხლის
მათ უკუნილი სუკუნისამდე, არ მოსურვეს ვალში ჩარჩენა, —
მერინავთა გამოჰყვეს ბირთვი,
და ერთ დღეს, ასე, სალამოს რვისთვის
მიტინგზე იხმეს ყველა, უკლებლივ,
(ნუ მეითხავთ ახლა, რატომ და რისთვის!)
ვითარცა მცველი თა ვი ს უ ფ ლ ე ბ ი ს
აჯანყდნენ... თუმცა, მართლებმა ცამდე,
რაღა არ სინჯეს, რაღა არ ცადეს,
თუმცა... მეპატრონე ვით უბირ იბოლთ
საკუნას უყრიდა... და უპირობო
დაპირებებით ფონს გასვლა სურდა
და სამათხოვროს უწვდიდა ხურდას...

არც — თევზი, ანდა თუ გნებავთ — ჩიტი!...

კი, რა თქმა უნდა, არსებობს მითი:

თითქოს მთა შობდეს, შორს გამხედვარი,

მაიმუნს არა, მხოლოდ თაგუნას...

თუმც რა გონებამ, თუმცა რა გულმა

მსგავსი რა მაინც

ირნმუნის რითი!

ეტყობა, ვით დღეს,

იმ ძირძელ დროშიც

შრომის სუფერების გაუშლელ დროშით

ვერ შოულობრდნენ სარჩოს ოფლით და

სისხლით, ეს მაინც ორიოდ გროში

თუ იყო, საგრეატ გასანედნენ რაკი, ეკი, რა თქმა უნდა,

პურის,

ნელის,

ნაგვის...

ნერილად

